Funded by
the European Union

EASTERN PARTNERSHIP
CIVIL SOCIETY FORUM

This Research report was created and maintained with the financial support of the European Union. Its contents are the sole responsibility of Coalition for Independent Living and do not necessarily reflect the views of the European Union.

ეს კვლევის ანგარიში შექმნილია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია "კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის" და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.

ავტორი: ნატა ბუკია

შესავალი **3**

მეთოდოლოგია **4**

დამატებითი ინფორმაცია **6**

კვლევის შედეგები და მთავარი მიგნებები **8**

რაოდენობრივი კვლევის მიგნებები 8

თვისებრივი კვლევის მიგნებები 20

მიგნებები მონიტორინგის სისტემასთან დაკავშირებით: *20*

მიგნებები სამართლებრივ და პოლიტიკის დოკუმენტებზე ინფორმაციულობის ხარისხის შესახებ: *21*

მიგნებები მუნიციპალიტეტებში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით: *22*

დასკვნა **25**

რეკომენდაციები **26**

შესავალი

“კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის”, პარტნიორ ორგანიზაციებთან “უნისონი” (სომხეთი) და “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა რეაბილიტაციის ასოციაცია” (მოლდოვა) ახორციელებს პროექტს სახელწოდებით: “მოლდოვის, სომხეთის და საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები ჩართულობისა და თანამშრომლობისთვის”.

სამი არასამთავრობო ორგანიზაციისგან შემდგარი კონსორციუმის ძირითადი მიზანია სომხეთში, მოდლოვასა და საქართველოში შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის იმპლემენტაციის ხარისხის შესწავლა, ამ ქვეყნებში შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ხელშეწყობა და შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება, როგორც ეროვნულ ასევე, საერთაშორისო დონეზე. ამის საფუძველზე, პროექტის ფარგლებში ჩატარდა კვლევა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებთან დაკავშირებული კანონმდებლობის იმპლემენტაციის დონის გასაუმჯობესებლად რეკომენდაციები შემუშავდება.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველომ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირებითა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მიღებით დაადასტურა მზაობა გაუმჯობესოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების რეალიზება, ეროვნული კანონებითა და კონვენციით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დონე მნიშვნელოვნად დაბალია. მოცემული დოკუმენტის მიზანია, ხელი შეუწყოს არსებული საკანანმდებლო ჩარჩოს გადახედვას, გაუმჯობესებასა და ეფექტურ განხორციელებას და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გამოცდილებების გათვალისწინებას მათი უფლებების ეფექტური დაცვის უზრუნველსაყოფად.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის უფლებების კონვენცია მნიშვნელოვანი ჩარჩოა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებრივი თუ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მდგრადობის შესანარჩუნებლად. 2013 წელს რატიფიცირების თარიღიდან (ძალაში შევიდა 2014 წელს) საქართველომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადადგა ეროვნული კანონების კონვენციასთან ჰარმონიზაციისთვის. ამის ერთ-ერთი დასტური საქართველოს კანონია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, რომელიც 2020 წელს მიიღეს.

კვლევის ფარგლებში ჩატარებული რაოდენობრივი გამოკითხვა კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს არ აქვთ სრულყოფილი ცოდნა საერთაშორისო თუ საქართველოში არსებულ სამართლებრივ დოკუმენტებზე და მათი

გამოყენების მექანიზმებსა და მონიტორინგზე. მათ აქვთ გარკვეული წარმოდგენები იმის შესახებ, თუ რა უფლებები გააჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს და რა ვალდებულებები აკისრია სახელმწიფოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, თუმცა, აღნიშნული ცოდნა საჭიროებს გაუმჯობესებას და ფაქტებზე დაყრდნობას. უმთავრეს პრობლემას კი, ინფორმაციაზე მისაწვდომობა წარმოადგენს.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის შედეგად გამოვლინდა, რომ მათი ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჯერ კიდევ ძალიან დაბალი და არაეფექტურია, რადგან მათ არ მოიაზრებენ საკითხის ექსპერტებად. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი ხარვეზებია კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის პროცესებში. ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაზე გაჟღერებული მოსაზრებების მიხედვით, სხვადასხვა სერვისებისა თუ მისაწვდომობის სტანდარტების მონიტორინგის სისტემა არ არის გამართული. ამასთანავე, სხვადასხვა მიმართულებით ერთიანი სამოქმედო გეგმები და სტარატეგიები ცენტრალურ თუ ადგილობრივ დონეებზე საჭიროებს შემუშავებასა ან გაუმჯობესებას. სახელმწიფოს მხრიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ მიდგომა ზოგიერთ შემთხვევაში, კვლავ ეყრდნობა ძველ მიდგომებს და საჭიროებს ცვლილებას.

წინამდებარე ანალიზი ასევე ცხადყოფს, რომ აუცილებელია, სახელმწიფომ გააუმჯობესოს ნაკისრი ვალდებულება ქვეყნის შიგნით კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგისთვის აუცილებელი სტრუქტურის შემუშავებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს რეკომენდაციებს, რომლებიც ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსპექტივიდან საჭირო ქმედებებს არსებული პრობლემების გამოსასწორებლად და კონვენციის იმპლემენტაციის გასაუმჯობესებლად.

მეთოდოლოგია

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის იმპლემენტაციის ხარისხზე დაკვირვება და პოლიტიკის დაგეგვმასა და განხორციელებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და მათი ორგანიზაციების ჩართულობასთან დაკავშირებული ბარიერების გამოვლენა.

კვლევის ფარგლებში შევისწავლეთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებები ცხოვრების სხვადასხვა სფეროებთან მიმართებით: განათლება, დასაქმება, პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობა და არჩევნებში მონაწილეობა, ჯანდაცვა და სერვისები, პირადი ცხოვრება, სპორტულ, კულტურულ და გასართობ ღონისძიებებში

მონაწილეობა, დამოუკიდებელი ცხოვრება. ამასთანავე, ვიკვლიეთ მონაწილეების ინფორმირებულობის ხარისხი სხვადასხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი სამართლისა და პოლიტიკის დოკუმენტებთან მიმართებით.

კვლევისას გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ გაეროს "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია" და "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" საქართველოს კანონი, არამედ სხვა საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი დოკუმენტები, რომლებიც ირიბად თუ პირდაპირ მოიხსენიებენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს:

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის ფაკულტატური ოქმი;
- დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კანონი (ე.წ. ანტიდისკრიმინაციული კანონი);
- ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია (ე.წ. სტამბოლის კონვენცია);
- დადგენილება მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების შესახებ;
- დადგენილება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის შექმნისა და დებულების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრის მომსახურების მინიმალური სტანდარტების დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის სერვისის მართვის სტანდარტების დამტკიცების შესახებ;

საკითხზე მუშაობისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონმდებლობის განხორციელების შესაფასებლად გამოყენებული იყო შერეული კვლევის მეთოდები. ეს მიდგომა მოიცავდა რაოდენობრივი გამოკითხვის ჩატარებას შეზღუდვის მქონე პირებთან და თვისებრივი კვლევის ფარგლებში, ფოკუს-ჯგუფის დისკუსიებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც აქტიურად არიან ჩართულნი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვაში.

რაოდენობრივი კვლევის ინსტრუმენტი ზედმიწევნით შემუშავდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერსპექტივიდან მათზე მორგებული კანონმდებლობის ინფორმირებულობის, გაგებისა და გავლენის შესაფასებლად. გამოკითხვა გავრცელდა სხვადასხვა გზებით, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მხარდაჭერის ქსელებით და ონლაინ სივრცეებში. გამოკითხვა მოიცავდა დახურულ კითხვებს ცნობიერების დონისა და კანონების განხორციელებით კმაყოფილებისა და ინფორმაციულობის შესახებ, ამასთანავე, მონაწილეებს საშუალება ჰქონდათ დაეფიქსირებინათ თავიანთი გამოცდილება, გამოწვევები და ინფორმირებულობის

ხარისხი შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ. რაოდენობრივი კვლევის ფარგლებში, საქართველოს მასშტაბით, სხვადასხვა შეზღუდვის მქონე 128 პირი, მათ შორის, 81 ქალი და 47 კაცი გამოიკითხა.

ამოცანების მიხედვით, განისაზღვრა შემდეგი კონკრეტული საკვლევი საკითხები:

- იურიდიული დოკუმენტებზე ინფორმაციულობის დონე;
- წვდომა დოკუმენტების შინაარსსა და გამოყენების მექანიზმებზე;
- ინფორმაცია უფლებებსა და სახელმწიფოს ვალდებულებებზე განათლების, დასაქმების, მისაწვდომობის, ჯანდაცვისა და სოციალური სერვისების, სპორტულ, კულტურულ და რეკრეაციულ ღონისძიებების, დამოუკიდებელი ცხოვრების მიმართულებით;

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებზე მომუშავე ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია, საკანონმდებლო ჩარჩოსა და მისი პრაქტიკული განხორციელების გამოწვევების უფრო ღრმად გასაგებად. შესაბამისად, ერთ-ერთ სამიზნე ჯგუფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციები წარმოადგენდნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან. ფოკუს-ჯგუფის დისკუსია 8 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციის 15 წარმომადგენელთან (6 კაცი, 9 ქალი) ჩატარდა, რომლებსაც აქვთ ცოდნა ისეთ სფეროებში, როგორიცაა სამართლებრივი ადვოკატირება, მისაწვდომობა, დასაქმება, განათლება და ჯანდაცვა. ისინი ყოველდღიურად თავიანთ რეგიონში აწვდიან სერვისს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, მათი ოჯახის წევრებს და ეხმარებიან მათ საჭირო ინფორმაციის მიღებაში.

დოკუმენტში განხილულია არსებული გამოწვევები, ცნობიერების ამაღლების, ინკლუზიურობის ხელშეწყობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პოლიტიკის შექმნისა და განხორციელების პროცესთან მიმართებით. ამასთანავე, შემოთავაზებული იქნება რეკომენდაციები, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა პრაქტიკაში განხორციელდეს.

დამატებითი ინფორმაცია

2014 წელს, როცა გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია (CRPD) საქართველოში ძალაში შევიდა, მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისა და ხელშეწყობის მიმართულებით. ეს შეიძლება მიჩნეული იყოს გადამწყვეტ მომენტად ჩვენი ქვეყნის ინკლუზიურობისა და თანასწორობისადმი სწრაფვის პროცესში.

კონვენციასთან შეერთება მნიშვნელოვანი ნაბიჯია, თუმცა, ძირეულ პრობლემებსა და გამოწვევებზე მუშაობა იმთავითვე არ დაწყებულა და რატიფიცირებიდან ათი წლის შემდეგაც, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ხშირ შემთხვევაში, სხვებთან არათანაბარ პირობებში ცხოვრობენ.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვა არა მხოლოდ კანონების მიღებით გამოიხატება, არამედ ამ კანონების ყოვლისმომცველი გააზრებითა და ეფექტური განხორციელების მექანიზმების შემუშავებით. დღემდე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მნიშვნელოვანი ნაწილისთვის არსებით გამოწვევად რჩება ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობა იმ დოკუმენტებისა და სერვისების შესახებ, რომლებიც მათი უფლებების დასაცავადაა შექმნილი. საკუთარი უფლებების შესახებ ინფორმირებულობის ნაკლებობა მათ დაუცველ მდგომარეობაში აყენებს და უარყოფს იმ უფლებებს, რომლებიც მათ სამართლებრივად აქვთ.

კონვენციის 33-ე მუხლის თანახმად, 1. მონაწილე სახელმწიფოები, მათი მმართველობის სისტემის შესაბამისად, სახელმწიფო ადმინისტრაციის შიგნით ასახელებენ ერთი ან რამდენიმე საკონტაქტო უწყებას, რომელიც კურირებას გაუწევს წინამდებარე კონვენციის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებს; სათანადო დონეზე შეისწავლის ხელისუფლებაში სხვადასხვა სექტორებსა და დონეზე შესაბამისი აქტივობის ხელისშემწყობი მაკოორდინირებელი მექანიზმის შექმნისა და დასახელების შესაძლებლობას.[1] 2. მონაწილე სახელმწიფოები, მათი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი სისტემის შესაბამისად, ქვეყნის შიგნით ინარჩუნებენ, აძლიერებენ, ასახელებენ ან აყალიბებენ წინამდებარე კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგისთვის აუცილებელ სტრუქტურას, რომელიც საჭიროების მიხედვით მოიცავს ერთ, ან რამდენიმე დამოუკიდებელ მექანიზმს. ასეთი სახის მექანიზმის დასახელების ან შექმნის შემთხვევაში, მონაწილე ქვეყნები მხედველობაში იღებენ ადამიანის უფლებების დაცვისა და პოპულარიზაციის ეროვნული ინსტიტუტების სტატუსსა და ფუნქციონირების პრინციპებს.[2] 3. სამოქალაქო საზოგადოება, კერძოდ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი წარმომადგენელი ორგანიზაციები, სრულად უნდა ჩაერთონ და მონაწილეობა მიიღონ მონიტორინგის პროცესში. [3]

ამ საერთაშორისო ვალდებულებებთან ერთად ქვეყანაში მოქმედებს ჩვენ მიერ უკვე ნახსენები კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, რომელიც 2020 წლიდან ამოქმედდა და უნდა იყოს გარანტი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ღირსების დაცვის.

---

[1] გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვეცია“ (UNCRPD), 33-ე მუხლი, პირველი პუნქტი. ხელმისაწვდომია:

[2] იქვე, მე-2 პუნქტი.

[3] იქვე, მე-3 პუნქტი.

2023 წლის მარტში, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტში წარდგენილი პირველადი ანგარიშის უკუკავშირში ნახსენებია ის პოზიტიური ცვლილებები, რომლებიც კონვენციის იმპლემენტაციისთვის 2014 წლიდან დღემდე გატარდა. მათ შორის, აღნიშნულია საქართველოს კანონის მიღება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, ე.წ. ანტისიკრიმინაციული კანონის მიღება, უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს დაფუძნების თაობაზე. თუმცა, ამასთანავე, აღნიშნულია, რომ კონვენცია არ არის საკმარისად იმპლემენტირებული და კონვენციის ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე იმპლემენტაციისთვის არ არსებობს შეზღუდული შესაძლებლობის თაობაზე შემუშავებული ეროვნული სტრატეგია და სამოქმედო გეგმა, ხოლო ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სტრატეგიასა (2022-2030) და სამოქმედო გეგმაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები ლიმიტირებულია.[4]

ამასთანავე, "კონვენციის იმპლემენტაციაზე მიმართულ ღონისძიებებსა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ სხვა საკითხებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების ჩართულობა, როგორც სახელმწიფო უწყებების, ისე მუნიციპალურ დონეზე ლიმიტირებულია, ხოლო კონსულტაციების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების მიერ გაცემული რეკომენდაციები უგულებელყოფილი;"

ხაზგასასმელია, რომ ეფექტური მმართველობის მთავარი საწყისი პოლიტიკის პროცესებში იმ ადამიანების ჩართვაა, ვისზეც უშუალოდ ახდენს გავლენას აღნიშნული კანონები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ორგანიზაციებისა და ქსელების არსებობის მიუხედავად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების (OPD) ხმა ხშირად არ ისმის კანონებისა თუ სტრატეგიების ფორმულირებისას.

[4] გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის დასკვნითი მოსაზრებები საქართველოს მიერ წარდგენილი პირველადი ანგარიშის თაობაზე, 2023. ხელმისაწვდომი ბოლოს 04.09.23: https://disability.ge/ge/saertashoriso-kanonmdebloba/gaeros-shezghuduli-shesadzleblobis-mqone-pirta-uflebebis-komitetis-daskvniti-mosazrebebi-saqartvelos-mier-tsardgenili-pirveladi-angarishis-taobaze

კვლევის შედეგები და მთავარი მიგნებები

რაოდენობრივი კვლევის მიგნებები

- რაოდენობრივ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 128 პირმა, რომლის ნახევარზე მეტს, ქალები - 63.3%(81 პირი), ხოლო 36.72% (47 პირი) კაცები წარმოადგენდნენ.



- გამოკითხულთა ასაკი მოიცავდა სხვადასხვა ჯგუფებს, უმეტესწილად, 40 წლამდე პირებს, თუმცა, უფრო დეტალურად მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა: 21.88% წარმოადგენდა 18-23 წლამდე ჯგუფს; 17.88% 24 წლიდან 29 წლამდე ჯგუფს; 13.28% 30-35 წლამდე პირები იყვნენ; 14.84% გამოკითხულებისა იყო 36-41 წლამდე; 42-47 წლამდე იყო 15.63%, ხოლო 48-53-მდე 7.03%. რაც შეეხება 54-59 წლამდე, 5.47% და 60 წელს ზემოთ 3.91%.



- გამოკითხვის გავრცელებისას ვეცადეთ მოგვეცვა სხვადასხვა შეზღუდული შესაძლებლობის ჯგუფები, თუმცა, უმეტესწილად, კვლევაში მონაწილეობა ფიზიკური შეზღუდვის მქონე პირებმა მიიღეს. მონაწილეთა 76.6% ფიზიკური შეზღუდვის მქონე (ეტლით გადაადგილება, ყავარჯნებით ან სხვა დამხმარე საშუალებით გადაადგილება, სხეულის ნაწილების ამპუტირება), 10.9% სენსორული, 7.8% ინტელექტუალური და 3.1% ფსიქიკური შეზღუდვის მქონე პირი იყო. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე მათგანს აღენიშნებოდა რამდენიმე შეზღუდვა ერთად.



- რეგიონული განაწილების მიხედვით, ყველაზე მეტი მონაცემი-25% თბილისიდან შეგროვდა, ხოლო სხვა რეგიონებიდან გამოკითხულთა რაოდენობა, შემდგნაირად გადანაწილდა: გურია - 16.41%, კახეთი - 11.72%, იმერეთი - 10.94%, შიდა ქართლი - 10.94%, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - 10.16%, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 7.03%, სამცხე-ჯავახეთი - 3.91%, ქვემო ქართლი - 2.34%, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 0.78%, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა - 0.78%.



- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას განათლებაზე მისაწვდომობა წარმოადგენს, ამიტომ კვლევაში ვთხოვეთ განათლების საფეხური დაეფიქსირებინათ. გამოკითხულთა 29,6 % აქვს მიღებული საშუალო განათლება, 16% არასრული საშუალო. ერთნაირი მონაცემები დაფიქსირდა კოლეჯში განათლება მიღებულებსა და ბაკალავრის ხარისხის მქონე პირებთან მიმართებით - 17.6% ორივე შემთხვევაში. 13.6%-მა დააფიქსირა, რომ მაგისტრის ხარისხი აქვს, გამოკითხულებიდან მხოლოდ ერთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს, ჰქონდა დოქტორის ხარისხი.



- ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მთავარ გამოწვევად დასაქმების საკითხი რჩება და აღნიშნული იკვეთება გამოკითხულთა მიერ დაფიქსირებული პასუხებიდანაც. გამოკითხულთა 39.8%-მა დააფიქსირა, რომ ამჟამად უმუშევარია, ხოლო 23.4% არასამთავრობო სექტორშია დასაქმებული. არასამთავრობო ორგანიზაციები და დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრები მათი დასაქმების ერთ-ერთი მთავარი სფეროა. თუმცა, დაფიქსირდა სხვადასხვა მიმართულებები, მათ შორის, საჯარო მოხელე, განათლების სფერო, მომსახურების სფერო და ა.შ.



- როგორც კვლევის მიზნებში იყო აღწერილი, ვიკვლევდით იმ სამართლებრივ და პოლიტიკის დოკუმენტების შესახებ ინფორმაციულობის ხარისხს, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებს მოიცავენ. რაოდენობრივი კვლევიდან მოპოვებული მონაცემების მიხედვით, იმ დოკუმენტების შესახებ ცოდნა, რომელიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებებს მოიაზრებს, ძალიან მწირია:

გამოკითხულთა 29.7%-ს სმენია ყველა იმ დოკუმენტის შესახებ, რომლებიც კვლევის კითხვარში იყო ჩამოთვლილი 14.8%-ს არ სმენია არცერთი მათგანის შესახებ. გარდა ზოგადი ინფორმაციულობისა, მკვლევრები შეეცადნენ იმის გაგებას, თუ რამდენად ჰქონდათ მათ წვდომა ზემოაღნიშნული დოკუმენტების შინაარსსა და პრაქტიკაში გამოყენების მექანიზმებზე.

ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ მხოლოდ 17.2%-ს აქვს წაკითხული კვლევაში დასახელებული დოკუმენტები და იცის როგორ გამოიყენოს ისინი პრაქტიკაში. ზოგადი ინფორმაციულობისა და შინაარსზე წვდომის მაჩვენებელიც საკმაოდ დაბალია, რაც გვაფიქრებინებს, რომ სამართლებრივ საკითხებზე ცნობიერების ამაღლება, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და საჭიროა.

იმის გათვალისწინებით, რომ შეკითხვების დანარჩენი ნაწილი თემატურად აგებული იყო კონვენციაში, საქართველოს კანონში და კვლევაში ნახსენები სხვა დოკუმენტების მიხედვით, რესპოდენტების პასუხებიდან შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კვლევაში დაფიქსირებული მოსაზრებები უმეტესწილად არ არის დაფუძნებული პირველად წყაროზე და გაგებულია მეორეული წყაროებიდან. ზოგიერთ შემთხვევაში, ინფორმაცია სხვადასხვა საკითხზე საერთოდ არ მოეპოვებოდათ გამოკითხულებს ან მათი ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე არ იყო თანხვედრაში კონვენციასა და საქართველოს კანონთან.

- საქართველოს კანონში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ არის ჩანაწერი ჟესტური ენის აღიარებასთან დაკავშირებით. გამოკითხულთა 60.2%-ს არ აქვს ინფორმაცია ამის თაობაზე.



- გამოკითხულთა 95.3% აუცილებლად მიიჩნევს სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების/გადაწყვეტილებების შემუშავებისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობასა და მათი აზრის გათვალისწინებას.



- გამოკითხულთა 54.7% აქვს ინფორმაცია სერვისებზე, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის მოქმედებს, თუმცა, ისინი არ აკმაყოფილებენ მათ საჭიროებებს. 26.6%-ს არ აქვს არანაირი ინფორმაცია არსებულ სერვისებზე.



- გამოკითხულთა 85.2%-მა იცის რას ნიშნავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრება, დანარჩენ ნაწილს აქვს არასრული ან არასწორი წარმოდგენა დამოუკიდებელი ცხოვრების შესახებ.



- გამოკითხულთა 71.1% ეთანხმება, რომ სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეუწყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცნობიერების ამაღლებას ქორწინებისა და პირადი ცხოვრების საკითხებში.



- გამოკითხულთა 96.9% ეთანხმება, რომ სახელმწიფო, ვალდებულია დაიცვას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის არჩევნებში მონაწილეობის უფლება, შეზღუდვის მქონე პირებს შეუქმნას შესაბამისი პირობები ხმის მისაცემად. დანარჩენ ნაწილს აღნიშნულ საკითხზე არ აქვს ინფორმაცია.



- გამოკითხულთა 96.1% ეთანხმება, რომ სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს ყველა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს განათლების მიღებაში ნებისმიერ სკოლაში/უნივერსიტეტში/პროფესიულ სასწავლებელში. 0.8%-ის აზრით, შეიძლება არსებობდეს ცალკე სასწავლებლები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის, ხოლო 3.1%-ს არ აქვს ინფორმაცია აღნიშნულ საკითხზე.



- გამოკითხულთა 96.1% ეთანხმება, ორივე დებულებას, რომ სახელმწიფო უნდა ქმნიდეს შესაბამის პირობებს, რათა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირმა მიიღოს სათანადო განათლება და შემდგომში დასაქმდეს; დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის განათლება და არ უთხრას მას უარი შეზღუდვის გამო. 1.6% ეთანხმება, მხოლოდ პირველ ნაწილს დებულებისა. იმავენაირად, 1.6% ეთანხმება, მხოლოდ მეორე ნაწილს.



- გამოკითხულთა, 93.8% ეთანხმება, რომ სახელმწიფო ვალდებულია, სმენადაქვეითებული და უსინათლო პირებისთვის შექმნას ისეთი სერვისები და ზომები, რომ მათ დაბრკოლებების გარეშე შეძლონ კომუნიკაცია და გარემოში გადაადგილება. დანარჩენ ნაწილს, 6.3%-ს არ აქვს ინფორმაცია რა კონკრეტული საჭიროება აქვთ სხვადასხვა ჯგუფებს.



- გამოკითხულთა 66.4% სმენია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საჭიროებების შესახებ და მიაჩნია, რომ აუცილებელია მათი ინტერესები იყოს გათვალისწინებული. ამ მონაცემებიდან, 43.75% ქალები იყვნენ, ხოლო დანარჩენი 22.66% მამაკაცები.

- ქალებისა და კაცების 10.2%-ს არ უფიქრია აღნიშნულ საკითხზე. ხოლო ქალების 0.78% და კაცების 1.56% მიიჩნევს, რომ ქალთა უფლებების ცალკე გამოყოფა არ არის აუცილებელი.

  ქალების 10.16%-ს არ სმენია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საჭიროებების შესახებ, თუმცა, მიაჩნია, რომ მათი გათვალისწინება აუცილებელია. ამგვარად ფიქრობს გამოკითხული კაცების 4.69%.

- გამოკითხულთა 60.9%-მა დააფიქსირა, რომ ყოფილა დისკრიმინაციის ფაქტის მომსწრე და იცის ვის უნდა მიმართოს მსგავს სიტუაციაში. 29.7%-ს ჰქონია მსგავსი შემთხვევა, თუმცა, არ იცოდა ვისთვის მიემართა. დანარჩენ ნაწილს არ ჰქონია რეაგირების სურვილი.



- გამოკითხულთა 85.9%-ის აზრით, სახელმწიფო ვალდებულია ცხოვრების ყველა სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სრულყოფილი მონაწილეობისთვის შესაბამისი ზომები მიიღოს. 10.9%-ს მიაჩნია, რომ ვალდებულია, თუმცა, არ აქვს ინფორმაცია რა შეიძლება იყოს ეს ზომები. დანარჩენი ნაწილი კი არ მიიჩნევს სახელმწიფოს ვალდებულად.



- გამოკითხულთა 60.2% მიიჩნევს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სპორტულ, კულტურულ, რეკრეაციულ ღონისძიებებებში დასწრება და მონაწილეობა ნაწილობრივ არის ხელმისაწვდომი. 32.8%-ის აზრით, საერთოდ არ არის ხელმისაწვდომი, ხოლო დანარჩენი 7%-ის აზრით, ხელმისაწვდომია.



- გამოკითხულთა 42.2% "საშუალოდ" აფასებს თავის ცოდნას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე საკითხებისა და უფლებების შესახებ; 32.8% "კარგად" ასაფებს თავის ცოდნას, "ძალიან კარგად" 10.9%, ხოლო "ცუდად" 11.7%. გამოკითხულთა 2.3%-მა თავისი ცოდნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების შესახებ "ძალიან ცუდად" შეაფასა.



- გამოკითხულთა 57.8%-ის აზრით, არსებული გარემო პირობები ნაწილობრივ უწყობს ხელს, რომ სხვებთან თანასწორად იცხოვროს. 34.4%-ს საერთოდ არ უწყობს, ხოლო 7.8%-ს უწყობს.



რაოდენობრივი კვლევის ანალიზის შედეგად, შესაძლებელია რამდენიმე მთავარი საკითხის გამოყოფა და შეიმჩნევა შემდეგი ტენდენციები:

- სერვისები კვლავ ვერ პასუხობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს და მათზე ინფორმაციული ხელმისაწვდომობაც მწირია.
- ერთ-ერთი კითხვა, რომელმაც ყველაზე მეტად გამოიწვია აზრთა გაყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საჭიროებები იყო (მონაწილეთა ნაწილი ეთანხმებოდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა საჭიროებების გათვალისწინებას, თუმცა, ზოგიერთი არ მიიჩნევდა აუცილებლად მათ ცალკე გამოყოფას).
- ინფორმაციულობის დონე არ არის დამყარებული პირველად წყაროებზე და უშუალო წვდომა სამართლებრივ თუ პოლიტიკის დოკუმენტებზე თემის მცირე ნაწილს აქვს.

თვისებრივი კვლევის მიგნებები

კვლევის ფარგლებში, გარდა რაოდენობრივი კვლევისა, გამოყენებულ იყო თვისებრივი კვლევის მეთოდებიც. მკვლევარმა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან ფოკუს-ჯგუფი ჩაატარა, რათა მათი მუშაობის პროცესში გამოვლენილი ბარიერები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე ინფორმაციულობის ხარისხი უფრო სიღრმისეულად გამოკვლეულიყო. ფოკუს-ჯგუფის ანალიზისას სხვადასხვა მიგნებები გამოვლინდა.

მიგნებები მონიტორინგის სისტემასთან დაკავშირებით:

ქვეყანაში მოქმედებს საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული კონვენციის მონიტორინგის მექანიზმი. 2014 წლის 27 ოქტომბერს, პრემიერ მინისტრთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საკოორდინაციო საბჭოს #6 სხდომაზე გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და განხორციელების მონიტორინგის სტრუქტურად საქართველოს სახალხო დამცველი დასახელდა.[5] მონიტორინგის მექანიზმი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დეპარტამენტთან ერთად მოიცავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის პოპულარიზაციის, დაცვისა და იმპლემენტაციის მონიტორინგის საკონსულტაციო საბჭოს. ფოკუს-ჯგუფის დისკუსიის ფარგლებში, მონაწილეებს აღნიშნული საბჭო არ უხსენებიათ და არ გაუმახვილებიათ ყურადღება მისი მუშაობის სპეციფიკასა და შედეგებზე, რაც შეიძლება მიმანიშნებელი იყოს იმაზე, რომ მონიტორინგის სისტემის შესახებ ინფორმაცია ბუნდოვანია და საჭიროებს გაუმჯობესებას.

გარდა ამისა, პრობლემა არსებობს უმეტესად მუნიციპალურ დონეებზე მონიტორინგის, სერვისებისა თუ კანონის აღსრულების კუთხით. ამას ადასტურებს შემდეგი მოსაზრებები, რომლებიც გამოვლინდა ფოკუს-ჯგუფის დისკუსიაზე, მონიტორინგთან და სხვადასხვა საბჭოებთან მიმართებით:

- მონიტორინგი და აღსრულება ყველა სფეროს მიმართულებით ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა.

[5] https://ombudsman.ge/geo/mekanizmis-shesakheb

- განსაკუთრებით მწვავედ დგას მისაწვდომობის ეროვნული სტანდარტების მონიტორინგის პრობლემა, ვინაიდან, არ ხდება მკაცრი კონტროლი, პრაქტიკული იმპლემენტაცია.
- იურისტებს მეტ-ნაკლებად აქვთ ცოდნა, რა ფორმით და ვის მიერ გაიცემა სამშენებელო ნებართვები, თუმცა, მოქალაქეებს ხშირად უჭირთ ამ საკითხებში გარკვევა და არ იციან, როგორ ან სად უნდა გაასაჩივრონ დარღვევა.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლები ხშირად აფიქსირებენ შემთხვევებს, როცა შენობები აგებულია ძველი სტანდარტებით, მიუხედავად ოფიციალურად გაცემული ნებართვისა. ზედამხედველობის სამსახური ფორმალურად ამოწმებს შენობებს და დარღვევის დაფიქსირების შემთხვევაშიც, უმეტესად არ ხდება გამოსწორება.
- მწირია სტანდარტის მცოდნე ადამიანური რესურსი. ამასთანავე, არ არსებობს დამატებითი სახელმძღვანელოები სფეციფიკური სფეროების მიმართულებით. მაგალითად, სამედიცინო დაწესებულებების მონიტორინგისას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებმა აღმოაჩინეს, რომ სპეციფიკური სახელმძღვანელოები (მითითებები) თუ როგორ უნდა იყოს საავადმყოფო ან კონკრეტული კაბინებიტი მოწყობილი, არ არის გათვალისწინებული დოკუმენტში.
- მონიტორინგის მექანიზმები მუნიციპალიტეტის დონეზე არ არის გამართული. არასამთავრობო ორგანიზაციები თავიანთი ძალებით ცდილობენ მისაწვდომობისა თუ სოციალური და ჯანდაცვის სერვისების მონიტორინგის განხორციელებას, თუმცა, ვინაიდან, მათი დაფინანსებები პროექტულია, უწყვეტი მონიტორინგისთვის საკმარისი რესურსი არ არსებობს.

მიგნებები სამართლებრივ და პოლიტიკის დოკუმენტებზე ინფორმაციულობის ხარისხის შესახებ:

- მონაწილეებს მეტ-ნაკლებად აქვთ წარმოდგენა საქართელოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კანონისა და კონვენციის შინაარსის შესახებ. უპირატესი სიღრმისეული ცოდნა პოლიტიკის დოკუმენტებზე იურიდიული განათლების მქონე პირებს აქვთ.
- კვლევის ფარგლებში გათვალისწინებულ სხვა პოლიტიკის დოკუმენტების შინაარსზე მონაწილეებს მწირი ინფორმაცია გააჩნდათ, რაც განპირობებულია ნაწილობრივ იმითაც, რომ მათ ნაწილს არ აქვს

სოციალური მეცნიერებებში ან სამართლის სფეროებში ფორმალური განათლება და უფლებებისა და დოკუმენტების შესახებ ცოდნა უმეტესად, პირადი გამოცდილებით, ან სხვადასხვა სახის ტრენინგებიდან აქვთ.

მიგნებები მუნიციპალიტეტებში არსებულ გამოწვევებთან დაკავშირებით:

- თვითმმართველობასთან კომუნიკაცია გართულებული და დროში გაწელილია. ზოგიერთ შემთხვევაში პრობლემურია მუნიციპალიტეტის ცხელ ხაზზე დაკავშირებაც. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებს დროულად არ მიეწოდებათ მათთვის საჭირო ინფორმაცია, მათ შორის, ბიუჯეტის დაგეგვმასთან დაკავშირებით, რათა შეძლონ თავიანთი მოსაზრებების დაფიქსირება.
- მუნიციპალიტეტების უმეტესობას არ აქვთ სამოქმედო გეგმები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების მიმართულებით. ზოგიერთ შემთხვევაში, სამოქმედო გეგმები სხვადასხვა მუნიციპალიტეტში იდენტურია და არ არის გათვალისწინებული სპეციფიკური საჭიროებები.
- მუნიციპალიტეტთან არსებული საბჭოები, რომლებიც უმეტესად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ინიციატივით შეიქმნა, მუშაობას ფორმალურად აგრძელებს და არ არის ქმედითი. ზოგიერთი წელიწადში მხოლოდ ერთხელ იკრიბება.
- საბჭოები უმეტესად დაკომპლექტებულია პირებით, რომლებსაც შეღუდული შესაძლებლობის საკითხებზე არ აქვთ საჭირო ცოდნა; მწირია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობა. გარდა ამისა, საბჭოებს არ აქვთ ფინანსური მხარდაჭრა, არ მუშაობენ თანმიმდევრულად და სისტემატიურად, არ ქვეყნდება ოქმები, დღის წესრიგები.
- საბჭოზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების მიერ წამოყენებული საკითხები უმეტესად ყურადღების მიღმა რჩება.
- მუნიციპალიტეტების მიდგომა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ, ზოგიერთ შემთხვევაში, ისევ საქველმოქმედო მოდელს ეყრდნობა.
- პრობლემურია მიმართვიანობა ზოგიერთ რეგიონში, ვინაიდან, მუნიციპალიტეტებში არ არის ადაპტირებული ტრანსპორტი (ზოგიერთ შემთხვევაში საერთოდ არ არის ტრანსპორტი, ან კვირაში ერთხელ დადის) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს უჭირთ გადაადგილება და თავიანთი მოთხოვნის დაფიქსირება.
- მუნიციპალიტეტის თანამშრომლები საჭიროებენ გადამზადებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებთან მიმართებით.

- უმეტეს რეგიონებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებსა და მუნიციპალიტეტს შორის თანამშრომლობა საწყის ეტაპზეა და ნელი ნაბიჯებით ვითარდება.
- ზოგიერთ შემთხვევაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებიც მოძველებულ მოდელებს ეყრდნობიან და ცნობიერების ამაღლება სჭირდებათ. უმეტესად აქტიურები ისევ ძველი სახეები არიან და ახალგაზრდების ჩართულობა ნაკლებია.

ფოკუს-ჯგუფზე გაჟღერებული მოსაზრებების ანალიზისას გამოვლინდა სხვა მთავარი მიგნებებიც:

- გასაუმჯობესებელია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის უწყებათაშორისი საკოორდინაციო კომიტეტის საქმიანობა. ვინაიდან, გამოკითხულთა აზრით, კომიტეტის შექმნისას არ იქნა სრულყოფილად გათვალისწინებული თემის რეკომენდაციები, შესაბამისად, ზედმიწევნით ვერ სრულდება კონვენციის 33-ე მუხლით აღებული პასუხისმგებლობა. განსაკუთრებით უგულებელყოფილ იქნა თემის მიერ შეთავაზებული რეკომენდაციები კომიტეტის შემადგენლობასთან დაკავშირებით. ამასთანავე, მონაწილეებს არასათანადოდ მიაჩნიათ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემში კომიტეტის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის გავრცელების გზები. მონაწილეებმა გამოთქვეს, მოსაზრება, რომ საბჭოში მათი ჩართულობა რიგ შემთხვევებში ფორმალურია და მათ არ აქვთ საშუალება მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების ან განსახილველი თემების შერჩევის პროცესში. ვინაიდან, უმეტესად ხდება უკვე ფორმულირებული გადაწყვეტილებების განხილვა და მათ მოსაზრებებს ნაკლებად ითვალისწინებენ.
- კანონმდებლობაში დღემდე ვხვდებით დისკრიმინაციულ ჩანაწერებსა და ტერმინებს, განსაკუთრებით, ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირთა მიმართ.
- გადამკვეთი იდენტობების მქონე პირები (ეთნიკური უმცირესობა, გენდერი, ორიენტაცია) არ არიან გათვალისწინებული და მათი ხელმისაწვდომობა სერვისებზე მწირია.
- ზოგიერთი სოციალური და სამედიცინო სერვისი მოქმედებს მხოლოდ ერთ მუნიციპალიტეტში და არა ცენტრალურად, რაც სხვადასხვა რეგიონში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს ხელს უშლის სერვისის მიღებაში, ამიტომ აუცილებელია სერვისების კოორდინირება და ერთიანი სამოქმედო გეგმის ქონა.

- რეგიონში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები მოწყვეტილნი არიან სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესებს.
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და მათ ორგანიზაციებს მოსაზრებას უმეტესად, გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ეკითხებიან და არა პროცესში.

დასკვნა

აღნიშნული დოკუმენტი ცდილობდა წარმოეჩინა ის მნიშვნელოვანი ასპექტები და გამოწვევები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვისას იკვეთება. სახელმწიფოს მიერ მიღებული ზომების მიუხედავად, კონვენციითა და საქართველოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ ვერ სრულდება სრულყოფილად.

მთავარ გამოწვევად რჩება კანონის აღსრულებისა და მონიტორინგის პრობლემა, რაც გეგმებისა და სტრატეგიების არარსებობითაა გამოწვეული. ეს კი, შესაბამისად, ხელს უშლის მისაწვდომი გარემოსა და სერვისების ჩამოყალიბებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის.

ცენტრალურ და ადგილობრივ დონეზე შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობა ასევე მთავარ პრობლემად რჩება. თავად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შეხედულებები კი, სახელმწიფოს მხრიდან უმეტესწილად არ არის გათვალისწინებული, რაც არაეფექტური შედეგების დადგომას იწვევს.

მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საფუძვლიანი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებშიც. განსაკუთრებით, გადამკვეთი იდენტობების მქონე პირთა ჩართულობა, ვინაიდან, მათი საჭიროებები არ არის პრიორიტეტულად განხილული.

უპირველესი გამოწვევა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და სახელმწიფოს შორის თანამშრომლობაა. მნიშვნელოვანია, რომ ერთობლივი ნაბიჯები გადაიდგას ინკლუზიური, თანასწორი გარემოს შესაქმნელად და შეიცვალოს ის ხედვები და პარადიგმები, რომლითაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან აღქმულნი.

ვიმედოვნებთ, რომ კვლევაში მოცემული მიგნებები და რეკომენდაციები მხედველობაში იქნება მიღებული ადგილობრივ და ეროვნულ დონეზე შესაბამისი უწყებების მიერ და გადაიდგმება პროაქტიული, ქმედითი ნაბიჯები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების განხორციელების კუთხით.

რეკომენდაციები

კვლევის ანალიზის შედეგად მიღებული მონაცემებიდან და შემდგომ დაინტერესებულ მხარეებთან მრგვალი მაგიდის ჩატარების შედეგად, გამოიკვეთა შემდეგი რეკომენდაციები:

- აუცილებელია, სახელმწიფო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდოს კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას.
- მნიშვნელოვანია, სისტემურად შეიცვალოს მიდგომა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ და მათი საჭიროებები აღქმული იყოს პრიორიტეტულად.
- დაიგეგმოს მიზნობრივი ცნობიერების ამაღლების კამპანიები, რომლებიც ითვალისწინებს შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული კანონებისა და საერთაშორისო შეთანხმებების გაცნობას. მონაცემებიდან გამომდინარე, თვალსაჩინოა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თემში საკანონმდებლო ჩარჩოს შესახებ ცოდნა გასაუმჯობესებელია. რეკომენდებულია ხელმისაწვდომი და გამარტივებული საინფორმაციო მასალების შემუშავება, რომლებიც განმარტავს კანონებისა და კონვენციების ძირითად დებულებებს. ეს კამპანიები შეიძლება ჩატარდეს სემინარების, ონლაინ პლატფორმების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობით.
- აუცილებელია, სახელმწიფომ დაიცვას ვალდებულება ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შესახებ და შექმნას თანაბარი პირობები ნებისმიერი შეზღუდვის მქონე პირისთვის.
- რეკომენდებულია, რომ მნიშვნელოვანი სტრატეგიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში სხვადასხვა შეზღუდვის მქონე პირები თანაბრად იყვნენ ჩართულნი.
- მნიშვნელოვანია, დროულად გაუმჯობესდეს მონიტორინგის მექანიზმი მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტთან დაკავშირებით თანდართული განხორციელების ვადებით, ბიუჯეტით, პასუხისმგებელი ორგანოებით, როგორც ცენტრალურ, ისე ადგილობრივ დონეზე. სახელმწიფოს საქართველოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის მიხედვით, ვალდებულება აქვს 2035 წლამდე უკვე აშენებული შენობა-ნაგებობების უნივერსალური დიზაინის შესაბამისად ადაპტირებისა, თუმცა, მონიტორინგის მექანიზმისა და სამოქმედო გეგმების არარსებობის გამო, მნიშვნელოვანი ნაბიჯები ვერ იდგმება, ამიტომ აუცილებელია, დაჩქარდეს პროცესები.
- მისაწვდომობის ეროვნულ სტანდარტებთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია გათვალისწინებული იყოს სპეციფიკური სახელმძღვანელოების შემუშავება. ამასთანავე, სფეროში ჩართული კადრების გადამზადება და განახლებული სტანდარტების გაცნობა.
- მნიშვნელოვანია დაჩქარდეს ერთიანი სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავება ცენტრალურ დონეზე. ვინაიდან, არ არსებობს სახელმწიფოს ერთიანი

ხედვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების მიმართ, კანონით დასახული შედეგის მიღწევა შენელებულია ყველა მიმართულებით.

- მნიშვნელოვანია გაძლიერდეს მუნიციპალიტეტის დონეზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის მექანიზმები. პირველ რიგში, აქტიურად უნდა გადამზადდნენ მუნიციპალიტეტების თანამშრომლები, რომლებსაც უშუალოდ უწევთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მუშაობა.
- აუცილებელია, მუნიციპალიტეტების მიერ ღონისძიებების დაგეგმვა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე მორგებული სოციალური და ჯანდაცვის სერვისების შესახებ ინფორმაციის გასავრცელებლად
- აუცილებელია, ელექტრონული და სატელეფონო საკომუნიკაციო არხების გამართვა მუნიციპალიტეტებში, რათა იმ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა, რომლებიც ვერ ახერხებენ ადგილზე მისვლას, ალტერნატიული გზებით შეძლონ სერვისებზე ინფორმაციის მიღება.
- მნიშვნელოვანია, რომ როგორც ცენტრალურ დონეზე უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო ასევე, მუნიციპალიტეტთან არსებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭოები აღიქმებოდეს მნიშვნელოვან მექანიზმად და გახდეს მეტად ქმედითი.
- რეკომენდებულია, რომ საბჭოებში წევრების შერჩევა კონკურსის საფუძველზე მოხდეს და არა რაიმე კონკრეტული ნიშნით. აუცილებელია, საბჭოებს გააჩნდეთ საკუთარი ბიუჯეტი, რათა გააუმჯობესდეს მათი ქმედითობა.
- აუცილებელია, სახელმწიფომ გადადგას ნაბიჯები გადამკვეთი იდენტობების მქონე პირთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, ეთნიკური უმცირესობის წევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჯერ კიდევ ვერ სარგებლობენ სხვების თანაბარი უფლებებით.
- განსაკუთრებით რეკომენდებულია, სახელმწიფომ აღასრულოს ვალდებულებები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით, ვინაიდან, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალთა პრობლემები მეორეხარისხოვნად აღიქმება და საჭიროებს ცნობიერების ამაღლებას.
- მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ჩართულნი იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათ ხშირად არ მოიაზრებენ ექსპერტებად, აუცილებელია, სახელმწიფოს მიდგომა შეიცვალოს და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემი აღიქმებოდეს თანაბარ ანგარიშგასაწევ ძალად.
- მნიშვნელოვანია, განხილვებსა და შეხვედრებში ჩართულნი იყვნენ ახალი წევრები და მეტად ვრცელდებოდეს ინფორმაცია დაგეგმილ შეხვედრებთან დაკავშირებით. ამისთვის აუცილებელია, სამთავრობო უწყებებმა კოორდინირებულად იმუშაონ, როგორც დამოუკიდებელ აქტივისტებთან, ასევე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. ეს განსაკუთრებით, მნიშვნელოვანია, რეგიონში მცხოვრებ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან მიმართებით, რომლებსაც ნაკლებად მიუწვდებათ ხელი საჭირო ინფორმაციაზე.